

შპს „მშენებელი“,

(ს/კ 405484131)

2024 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

- შპს მშენებელი” (შემდგომში “კომპანია”) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ” კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 22/09/2021 და მდებარეობს საქართველოში.
- საიდენტიფიკაციო კოდი: 405484131
- კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ლისის იასამნების ქუჩა, N 5, ბ. 4
- ფაქტიური მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, თბილისი, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი 2.
- 2024 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის პარტნიორები არიან: ლევან გიგაური პ/ნ 01010006093 -34 % წილის მმართველი; ივანე ნიკოლაიშვილი პ/ნ 01027012259-33% წილის მმართველი; ანდრო გეგენავა პ/ნ 0130020239-33% წილის მმართველი.
- კომპანიის საფირმო სახელწოდებაა შპს მშენებელი
- მმართველობის ორგანოს წარმოადგენს საერთო კრება. ერთპიროვნული დირექტორია ლევან გიგაური პ/ნ 01010006093.
- .
- საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა და რემონტი.
- სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.
- კომპანიას არ გააჩნია შეიღობილი კომპანიები.
- კომპანიას არ გააჩნია ფილიალები.
- კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს.

2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ,,
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ,,
 - საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების “მსს ფასს-ზე გადასვლა- ფარგლებში).
- წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკა მოქმედებს 2021 წლის სექტემბრიდან
- ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორ ორგანიზებას უზრუნველყოფს საზოგადოების დირექტორი.

3. ოპერაციები ვალუტაში

- _ კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას რომელშიც იგი ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ქართული ლარი.
- ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში.
- უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი, საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის-31 დეკემბერს არსებული კურსით.

4. სავაჭრო მოთხოვნები

- საიჯარო გადახდები ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

5. სასაქონლო- მატერიალური მარაგები

- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს;
- სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვის მეთოდია უწყვეტი;

– სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდია „საშუალო-შეწონილი“.

- სამშენებლო და საექსპლუატაციო მასალები, რომებიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისათვის, ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციისა და მიმდინარე შეკეთებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები და მასალები მიეკუთვნება მიმდინარე რემონტის ხარჯებს.

6. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა:

- ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და საშუალო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს;
- საკუთარი ძალებით აშენებული (დამზადებული) ძირითადი საშუალებების ღირებულებაში არ შეიტანება მოგება (გეგმური დაგროვება);
- ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით, თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლებით;
- ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მათი პირვანდელი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით;
- ფინანსური იჯაროდ მიღებული ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათი დისკონტირებული ღირებულებით.
- საგნები, რომლებით გამოიყენება ერთჯერადად ან/და გამოყენების ვადის საიმედო შეფასება შეუძლებელია, ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება გამოჯნულად, სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგების შემადგენლობაში.
- ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

7. არამატერიალური აქტივების აღრიცხვა

- შეძენილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ნასყიდობის ფასს, საიმპორტო, საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე.
- საწარმოს შიგნით გაწეული დანახარჯები ახალი პროდუქციის შექმნაზე, არ მიეკუთვნება არამატერიალურ აქტივებს და აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ხარჯად.
- ფინანსურ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივი აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით;
- არამატერიალურ აქტივის გამოყენების ვადა განისაზღვრება საწარმოსმიერ მისი სავარაუდო გამოყენების პერიოდით, სახელშეკრულებო ან სხვა იურიდიული უფლებების ვადის ფარგლებში. სხვა შემთხვევაში არაუმეტეს 10 წლის ვადით. არამატერიალურ აქტივს ამორტიზაცია ერიცხება წრფივი მეთოდით.

8. სხვა აქტივების აღრიცხვა

- მრავალჯერადი გამოყენების აქტივები, რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში;
- სპეცტანსაცმელი და შრომის დაცვის საშუალებები აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში.

9. საწვავის აღრიცხვა

- ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს საწვავის ბარათებით და აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით. ბარათები აღირიცხება განცალკევებულად სხვა მიმდინარე აქტივების ანგარიშზე. ბარათები ანგარიშვალდებულ პირებზე გაიცემა ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიხედვით და აღირიცხება უწყისებში.
- საწვავი ჩამოიწერება ავტოსაგზაო ბარათების მიხედვით ფაქტობრივად გარბენილი კილომეტრებისა და ხარჯვის ნორმების შესაბამისად.
- ტექნოლოგიური დანიშნულებისათვის საწვავი შეისყიდება და განთავსდება რეზერვუარში. მისი ჩამოწერა ხორციელდება ფაქტობრივი ხარჯვის ოდენობით, აქტის საფუძველზე.

10. ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:

- მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს;
- 50 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები (კალკულატორი, ასაკინძი მოწყობილობები და სხვა) მარაგებში აისახება და შემდეგ მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს;
- კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კატრიჯი, დისკები, ეკრანის გასაწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში აისახება და შემდეგ კომპიუტერის ხარჯებს;
- მასალები, რომელიც უშუალოდ არ იღებს მონაწილეობას პროდუქციის შემადგენლობაში და გამოიყენება როგორც დამხმარე ტექნოლოგიური საშუალება, ჩამოიწერება შესაბამისი აქტის საფუძველზე;
- სამშენებლო მასალები, რომლებიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისათვის, ძირითადი საშუალებების შესაკეთებლად საჭირო სათადარიგო ნაწილები და მასალები ჩამოიწერება აქტის საფუძველზე.

11. ბანკის სესხები

- ბანკის სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები.
- ბანკის სესხების საპროცენტო ხარჯები აღიარდება საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

12. მოთხოვნების აღრიცხვა

- მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ურთიერთდამოკიდებული პირების, გადასახადისაგან გათავისუფლებული ან/და არარეზიდენტი პირების მიმართ აისახება გამიჯნულად;

13. ვალდებულებების აღრიცხვა

- ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

14. საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა

- კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებიტ განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის საკუთრების უფლებების ცვლილება) მხოლოდ კომპანიის გადაწყვეტილებით ხდება.
- კაპიტალის მოცულობისა და პარტნიორთა წილების ცვლილებები რეგისტრირდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონით განსაზღვრული წესით.

15. ამონაგების აღიარება

- შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;
- მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგები ბალანსის შედგენის თარიღისათვის აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედო შეფასება.

16. მოგების აღიარება

- მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგეგმაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

17. დამატებული ღირებულების გადასახადი

- კომპანიის მიერ გაყიდვების / მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დ.ღ.გ. სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში.

18. ხარჯების აღრიცხვა

- ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;
- ხარჯების აღრიცხვის შინაარსი – ფუნქციური დანიშნულებით.

19. მოგება-ზარალი:

- წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება:
- დივიდენდების გასაცემად;
- საწარმოს რეინვესტირებისათვის;

20. მოგების გადასახადი:

- მოგების გადასახადი იანგარიშება დაბეგვრის ახალი მოდელის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1)ფულადი სახსრები შედგება საქართველოს ბანკებში: სს თიბისი ბანკი და სს საქართველოს ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხების, საქვეანგარიშოდ გაცემული თანხებისაგან, რაც შეადგენს:

	31.12.2023	31.12.2024
ფული ბანკში	373	7373
საწარმოს პერსონალზე გაცემული თანხები	141	0
სულ:	514	7373

ბანკის ანგარიშების ნაშთი შეადგენს 7373 ლარს და საღარო/საქვეანგარიშოდ გაცემული თანხის ნაშთი 0 ლარს.

2)მოკლევადიანი მოთხოვნები

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან 1410	105633	5139224	4861628	383229
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ 1430	141	22253	22394	0
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები 1480	2114	280693	273241	9566

3)სასაქონლო-მატერიალური მარაგი

შესყიდული სასაქონლო-მატერიალური მარაგებიდან ნაშთში არსებული მარაგები 26396 ლარი წარმოადგენს დაუმთავრებელ სამუშაოებში გამოყენებულ მასალებს და ნაშთებს, რომელთა ჩამოწერა მოხდება შემოსავლის აღიარებასთან ერთად.

	ნაშთი 31.12.2023	დებიტი	კრედიტი	ნაშთი 31.12.2024
ნედლეული და მასალები 1620, 1680,1622	26189	1844803	1854240	16752
სხვა სააქონლო მარაგები 1690	5294	68861	64510	9644

4) ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	ნაშთი 31.12.2023	დებეტი	კრედიტი	ნაშთი 31.12.2024
ნაგებობები 2140	0	27949		24949
მანქანა დანადგარები 2150	207850	175044		382894
ოფისის აღჭურვილობა 2160	4464	3048	0	7513
სატრანსპორტო საშუალებები 2180	118644	528497	0	647141

5) ძირითადი საშუალებების ცვეთა

	ნაშთი 31.12.2023	დებეტი	კრედიტი	ნაშთი 31.12.2024
ნაგებობების ცვეთა 2240	0		1055	1055
მანქანა დანადგარების ცვეთა 2250	41382		32670	74052
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა 2260	397		1541	1938
სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა 2280	3788		15340	19128

2024 წელს შევიძინეთ სამშენებლო ინვენტარი, მსუბუქი და სატვირთო სატრანსპორტო საშუალებები

6) ვალდებულებები

ვალდებულებები	ნაშთი 31.12.2023	დებეტი	კრედიტი	ნაშთი 31.12.2024
მოკლევადიანი ვალდებულებები 3110	4574	2976967	3329623	352656
მიღებული აგანსები 3120	0	500850	844919	344069
გადახდილი ხელფასები 3130		2013875	2013875	
ვალდებულებები დამფუძნებლების მიმართ 3160	92040	232000	140329	369

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები 4140	730105	746727	1199899	276933
საგდასახადო ვალდებულებები 3300	0	0	250000	250000

დამკვეთებისაგან მიღებული ავანსების დაქვითვა ხდება ეტაპობრივად, სამუშაოს შესრულების მიხედვით, ან ერთიანად დამკვეთთან შეთანხმებით.

სესხი მიღებულია სს თიბისი ბანკისაგან 14% განაკვეთით, 3 წელი ვადით.

7)შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხდება იმ სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, რომელშიც განხორციელდა მომსახურება. 2024 წელს მიმდინარე სამუშაოები იყო: შპს გამა, შპს პილსაიდ დეველოპმენტი, შპს პეტრა სი რეზორტ, შპს ჯიტი ლოჯისტიკს და სხვა კომპანიებთან არსებული სამშენებლო-სარემონტო პროექტები, ასევე სატრანსპორტო მომსახურების გაწევა. სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები დამკვეთის მიერ ჩაბარებულ იქნა მიღება-ჩაბარების აქტით. ძირითადი საქმიანობიდან-საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა და რემონტიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 4318823 ლარს, ხოლო სატრანსპორტო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 36452 ლარს. პერიოდის მოგება შეადგენს 288705 ლარს.

8)ხარჯები

ძირითადი მასალების, მომსახურების დანახარჯები 7110,7210,7215	1858466
დამხმარე მასალების დანახარჯები 7140	31704
რემონტის ხარჯები 7180	11471
საწვავის ხარჯი	6564
შრომის ანაზღაურება	2039462
საპენსიო ხარჯი 7415	34329
დაზღვევა 7435	3273
ცვეთა და ამორტიზაცია 7455	50606
სხვადასხვა ხარჯი	7240
საგდასახადო ხარჯი(ქონების, მოგების გადასახადი) 7465; 9210	22280
კურსთაშორის სხვაობა 8190,8290	1176

9)საკუთარი კაპიტალი

	ნაშთი 31.12.2023	დებეტი	კრედიტი	ნაშთი 31.12.2024
გაუნაწილებელი მოგება 5310	289091	142105	288705	435691
საანგარიშგებო პერიოდის მოგება 5330		4355318	4355318	

განაწილებული დივიდენდ 3420			142105	
-------------------------------	--	--	--------	--

პერიოდის მოგება შეადგენს 288705 ლარს. 2024 წელს განაწილებული დივიდენდი შეადგენს 142105 ლარს.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2025წ. 20 სექტემბერს

შპს მშენებელი

დირექტორი: ლევან გიგაური

ლ. გიგაური

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

შპს მშენებელი ს/კ 405484131

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2024	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2023	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2022
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7,373	514	522
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	383,229	105,633	21,503
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი ს	9,566	2,114	166
მარაგები	26,396	31,423	3,195
- მზა პროდუქცია	-	-	-
- სხვა	26,396	31,423	3,195
საინვესტიციო ქონება	-	-	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	-	234	
ბიოლოგიური აქტივები	-	-	-
- თვითღირებულების მოდელით	-	-	-
- გადაფასების მოდელით	-	-	-
გუდვილი	-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	969,324	285,392	165,327
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-	
სულ აქტივები	1,395,888	425,310	190,713

ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	357,230	4,504	2,925
ანარიცხები	-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	2,265	39,675	23,449
მიღებული ავანსები			
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები			
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	250,000	92,040	105,040
მიღებული გრანტები	-	-	-
სხვა ვალდებულებები	350,333		8,158
სულ ვალდებულებები	959,828	136,219	139,572

საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერა	-	-	-
საემისიო შემოსავალი	-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	435,691	289,091	51,141
გადაფასების რეზერვი	-	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	435,691	289,091	51,141
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,395,519	425,310	190,713

სულ მოკლევადიანი აქტივები	426,562	25,391	1,245,677
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	701,668	2,925	190,236

ღირექტორი: ლევან გიგაური
20/09/2025

წ. გიგაური

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

შპს მშენებელი ს/კ 405484131

		საანგარიშგებო პერიოდი 2024 წელი	წინა საანგარიშგებო პერიოდი 2023წელი
ნეტო ამონაგები		4,318,823	2,130,348
საქონლის გაყიდვიდან		-	-
მომსახურების გაწვიდან		36,452	-
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		4,318,823	2,130,348
სხვა			
გაყიდვების თვითღირებულება		(1,858,466)	(636,894)
საერთო მოგება		2,496,809	1,493,454
სხვა საოპერაციო შემოსავალი		-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება		(2,039,462)	(1,166,271)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი		(50,606)	(24,734)
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი			
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(116,860)	(35,024)

სულ საოპერაციო ხარჯები		(2,206,928)	(1,226,029)
საოპერაციო მოგება		289,881	267,425
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა			
მარაგების გაუფასურების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა			
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით გაჭრობიდან და სავალუტ		(1,176)	
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)			
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		288,705	267,425
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		288,705	267,425
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები).			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		288,705	267,425

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	289,091	51,141
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(142,105)	(29,475)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	435,691	289,091

დირექტორი: ლევან გიგაური
20/09/2025

ღ. გიგაური

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

შპს მშენებელი ს/კ 405484131

	საანგარიშგებო პერიოდი 2023 წელი	წინა საანგარიშგებო პერიოდი 2022 წელი
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული	446,714	211,854
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენ	(615,855)	(170,862)
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული)	176,000	(41,000)
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	6,859	(8)
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებ	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	514	522
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7,373	514

დირექტორი: ლევან გიგაური
20/09/2025

ღ. გიგაური